

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №35, 19.11.2009, მუხ. 245) დაემატოს შემდეგი შინაარსის 8¹ მუხლი:

„მუხლი 8¹. სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობების შეცვლა, სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი სანქციებისაგან გათავისუფლება

1. ამ კანონის ამოქმედებამდე სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლების მიმღები პირები გათავისუფლდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის ინფორმაციის პერიოდულად წარმოდგენის, გადაცემული ქონების დაზღვევის ან/და კომუნალური გადასახადების დაფარვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 2010 წლის 1 ივნისამდე დაკისრებული/დასაკისრებელი სანქციებისაგან.

2. სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს უფლება აქვთ, ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული სანქციებისაგან გათავისუფლების ან/და ვალდებულებების შეცვლის/გადახედვის შესახებ მიმართონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არა უგვიანეს 2010 წლის 1 სექტემბრისა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფლებამოსილია საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის თანხმობით, მიიღოს გადაწყვეტილება სარგებლობის უფლებით სახელმწიფო ქონების გადაცემისას გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შეცვლის/გადახედვის ან/და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული სანქციისაგან გათავისუფლების შესახებ.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ სააკაშვილი